პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 22 აგვისტო 1925 წ.

წელიწადი [illegible] ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

188 (886) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## იყავი მტკიცე და შეუდრეკელი შენს მომავალ მუშაობაში.

ჩვენ ბევრს ვსწერთ და ვლაპარაკობთ იმ ამოცანების შესახებ, რომელიც წინ უძევს უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელს.

უდავოა, რომ მას დიდი მუშაობა და შრომა მოუწევს სოფელში. ეს მასაც აქვს სავსებით გათვალისწინებული. და აი მომავალ მუშაობის აზრით გატაცებული ჩვენი წითელ მოლაშქრე ავსილია საუკეთესო გრძნობებით შესახებ იმის, თუ როგორი აღფრთოვანებით და თავდავიწყებით იმუშავებს ის სოფლად.

რასაკვირველია ყოველივე ეს ბუნებრივი და გასაგებიცაა, მაგრამ აქ ჩვენ გვინდა მოვაგონოთ შვებულებს ერთი მეტად საყურადღებო გარემოება. მათი მუშაობა დაკავშირებული იქ ბევრ სიძნელეებთან. აქ ყაზარმაში სოფლად მუშაობის ამოცანები ადვილი გეჩვენება, მაგრამ იქ სოფელში, როცა შეუდგები მათ განხორციელებას ისინი უკვე ძნელი აღმოჩნდებიან.

დასახულ ამოცანის გატარება გაცილებით უფრო რთულ პირობებში მოგიხდება, ვიდრე ეს წარმოგიდგენია აქ წითელი ჯარში.

და აი აქ შესაძლებელია ჩვენი შვებულის აღფრთოვანება, იმედის გაცრუებით შეიცვალოს, მისი ენერგია მოდუნდეს და ის გულგრილობას მიეცეს.

ცხადია ეს საფრთხე აქედანვე აცილებულ უნდა იქნას. ეს კი შესაძლებელია იმ პირობით, თუ თითეული შვებული წითელი არმიელი პრაქტიკულად მიუდგება თავის მუშაობის ამოცანებს სოფლად, თუ ის ყოველმხრივ ასწონ-დასწონის ასეთებს, კარგად დაფიქრავს, და შეძლებისადაგვარად გაითვალისწინებს ყველა იმ სიძნელეებს, რომლებიც გადაეღობებიან ამა თუ იმ ამოცანის განხორციელებას.

აქედანვე უნდა მიიღო მხედველობაში მომავალი მუშაობის მთელი სირთულე და სიძნელე. აქედანვე უნდა დაისახო მტკიცედ, რომ მიუხედავათ ყოველგვარი სიძნელეებისა შენ ბოლომდი მიიყვან ყოველივე დასახულ ამოცანას.

შენ კი ეს სავსებით შეგიძლია, ვინაიდან წითელ ყაზარმამ საკმაოდ აღზარდა შენში ნებისყოფა, შრომის ხალისი ენერგიულობა და სხვა ასეთი თვისებები. ყოველივე ეს სავსებით უნდა გამოიყენო. ნუ დაიხევ ნურავითარ დაბრკოლების წინაშე, მტკიცედ შეასრულე ყოველივე ის, რასაც გავალებს შენ წითელი არმია და საბჭოთა ხელისუფლება.

ნუ დაგავიწყდება აგრეთვე ჩვენი ბელადის ამხ. ლენინის ბრძნული სიტყვები „უმჯობესია ცოტა და კარგი".

ეს ნიშნავს: ნუ მოედები ერთად ყველაფერს. ნაკლები გააკეთე, მაგრამ საფუძვლიანად და კარგად. იმუშავე განსაზღვრული გეგმით და მიზანშეწონილად დახარჯე შენი ენერგია.

მხოლოდ ასეთი გზით, ასეთი საშუალებებით ჩვენი შვებული წითელი არმიელი შესძლებს სოფლად ნაყოფიერ მუშაობას.

მხოლოდ ასე ამნაირად ის დაეხმარება პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას ახალი სოციალისტური სოფლის შენებაში

## ინგლისის იმპერიალისტების ახალი პროვოკაცია.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩინეთში იფეთქა გაფიცვებმა და დაიწყო უცხოელ იმპერიალისტების წინააღმდეგ მოძრაობა, ინგლისის ბურჟუაზია ყოველივე ამას აბრალებდა საბჭოთა ხელისუფლებას. „ჩინელები რუსეთის ბოლშევიკებმა და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ააჯანყესო".—ასე სწერდენ ინგლისის ბურჟუაზიული გაზეთები. ამ ბრალდებების უსაფუძვლობაზე და სისულელეზე ჩვენ საკმაოდ ვილაპარაკეთ. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჩინეთის მშრომელი მასების უკმაყოფილობის და აღშფოთების მიზეზი არიან თვით უცხოელი იმპერიალისტები, რომლებმაც ფეხქვეშ გასთელეს ჩინეთის ხალხის თავისუფლება და რომლებიც უმოწყალოდ ყვლეფენ და სძარცვენ მას.

მაგრამ იმპერიალისტები მაინც ყოველმხრივ სცდილობენ თავისი დაამტკიცონ. ამ მიზნით ისინი მიმართავენ უკვე ცნობილ საშუალებას—ყალბი საბუთებს.

დღეს რადიო გადმოგვცემს, რომ ინგლისელ გაზეთმა ჩინეთში ზედი ზედ ოთხი ყალბი საბუთი გამოაქვეყნა. ამ საბუთების მიზანია დაამტკიცოს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მართლადაც ხელს უწყობს და სულის ჩამდგმელია ჩინეთის ხალხის მოძრაობის, რომ ჩინელები საბჭოთა ხელისუფლებამ ააჯანყა და სხვა. მაგრამ საბრალო ინგლისის ცილისწამებებს ბედი არ წყალობს. ისინი ვერ ახერხებენ ყალბი საბუთების რიგიანად დამზადებას.

ისე უხეშად და მოუფიქრებლად თხზავენ, რომ მათი სიყალბე მყისვე აშკარავდება.

ამაში თითეული დარწმუნდება, როცა წაიკითხავს დღევანდელ რადიოს ამ ყალბი საბუთების გამოქვეყნების შესახებ.

ასეთი სიყალბით და პროვოკაციით სცდილობს ინგლისის ბურჟუაზია თავისი შერყეული მდგომარეობის განმტკიცებას ჩინეთში და საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტის შელახვას ჩინეთის მშრომელთა მასების თვალში.

იმ დროს, როცა ჩინეთის რეაქცია ინგლისისა და სხვა იმპერიალისტების უშუალო კარნახის ქვეშ სისხლში აღრჩობს ჩინეთის მშრომელთა მასების განმათავისუფლებელ მოძრაობას, ინგლისის მტაცებლები მეორე მხრივ ასეთი ყალბი საბუთების საშუალებით სცდილობენ თავისი ბატონობის გამაგრებას ჩინეთში.

მაგრამ ამას ისინი ვერ მიაღწევენ. ჩინეთის ხალხმა საკმაოდ გაეცნო საბჭოთა ხელისუფლებას, ღირსეულადაც აფასებს მასთან მეგობრობას და ვერავითარი იმპერიალისტური პროვოკაცია, სიყალბე ამ კავშირს და მეგობრობას ვერ დაარღვევს. ინგლისის მორიგ პროვოკაციას თვით ჩინეთის ხალხი გასცემს სათანადო პასუხს.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## ყალბი საბუთებით ბითუმად ვაჭრობა.

ყველაზე უფრო რეაქციონურმა ინგლისის გაზეთმა შანხაიში გამოაქვეყნა ერთბაშად 4 ყალბი საბუთი, რომლებშიაც სცდილობს დაამტკიცოს, რომ საბჭოთა საელჩო შანხაიში მოძრაობას ხელმძღვანელობსო.

პირველ საბუთში თითქოს კარახანი 7 ივლისის თარიღით სწერდეს საბჭოთა საელჩოს მდივანს ჩერკასოვს მოაწყვე სტუდენტების ორგანიზაცია შემთანხმებელ მუშების საწინააღმდეგოდ გაფიცვების დროსო და, თითქოს, ფულით დახმარებასაც ჰპირდებოდეს.

მაგრამ ამ საბუთის გასაბათილებლად საკმარისია მარტო ის, რომ ჩერკასოვი ჯერ კიდევ მაისის შუა რიცხვებში გამოემგზავრა მოსკოვში.

მეორე საბუთში ნათქვამია, თითქოს სტუდენტობის კავშირმა საბჭოთა კავშირის საელჩოს წარმომადგენლის გალიანოვსკის თანდასწრებით გამოიტანა ოქმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ შექმნილ უნდა იქნას საიდუმლო სააგენტო და ამას გარდა მიმართონ ტერორს.

მესამე საბუთი—„მოსკოვის მე-12 პოლიტიკური განყოფილების წერილი"—ეხება აგიტაცია—პროპაგანდის წარმოების საკითხს ჩინეთის ნავთსადგურებში მდგომ გემებზე.

მეოთხე საბუთიც შეიცავს აგრეთვე მოსკოვის მიწერილობას კომუნისტური კომიტეტების მოწყობის შესახებ ცაკის მიერ გათვალისწინებულ წერტებში.

ოთხი ყალბი საბუთის ერთბაშად გამოშვება ამტკიცებს, რომ ცალკეული ვაჭრობა ყალბი საბუთებით ვერ აკმაყოფილებს ამ „საბუთების" მოხელეებს.

## ჩინეთის პასუხი იაპონიის მოთხოვნილებაზე.

იაპონიამ მოსთხოვა ჩინეთს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მიაყენა ტიან-ცზინის გაფიცულმა მუშებმა.

ამ მოთხოვნილების პასუხად ჩინეთის ხელისუფლება არ სცნობს დაზარალებულ ფაბრიკას იაპონიის საკუთრებად, ვინაიდან აღნიშნული წარმოება მუშაობს ჩინეთის ფლაგის ქვეშ და არ არის ოფიციალური ოქმი, რომელიც ამტკიცებდეს იაპონიის საკუთრების უფლებას ხსენებულ ფაბრიკაზე.

## შანხაის ფოსტის მოსამსახურეებმა გაიმარჯვეს.

შანხაის ფოსტის მოსამსახურეების გაფიცვები გამარჯვებით დასრულდა. ხელისუფალნი თანახმა არიან ჯამაგირის მომატებისა და ფოსტის მოსამსახურეთა პროფკავშირის ცნობაზე. დანარჩენი სადაო საკითხები განხილულ იქნებიან პეკინის ხელისუფლებასთან თათბირის შემდეგ.

## ინგლისის პროფკავშირთა პროტესტი გიბნერის, კნიევსკისა და რუტკოვსკის გასამართლების წინააღმდეგ.



გიბნერი.

პერსელმა ინგლისის პროფმოძრაობის სახელით ლონდონში მყოფ პოლონეთის მისიას განუცხადა, რომ ამხ. ამხ. გიბნერის, კნიევსკისა და რუტკოვსკის გასამართლებას აღშფოთებაში მოჰყავს ინგლისის პროლეტარიატი, ვინაიდან პოლონეთის მთავრობამ იხმარა პროვოკაციული ზომები და საქმე გადასცა საგანგებო სასამართლოს.

მისიის თავმჯდომარე შეჰპირდა პერსელს, რომ გადასცემს ამ განცხადებას მთავრობას.

## დრუზების (სირიაში მოსახლე ტომები) მოთხოვნილება.

აჯანყებულმა დრუზებმა წარუდგინეს ფრანგებს შემდეგი მოთხოვნილებანი: ჯებელ-დრუზას (სირიის მოზრდილი რაიონია) დამოუკიდებლობის ცნობა, ფრანგების სამხედრო და სამოქალაქო ძალების გასვლა ქვეყნიდან, საფრანგეთის ჯარების მიერ მიყენებულ ზარალის ანაზღაურება.

ორშაბათს, 24 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების

**მორიგი სხდომა.**

1) კომუნალური (წითელი თეატრი).
2) ჯანმრთელობის (ალმასკ. შენ. ოთახი №57).
3) საფინანსო (ალმასკ. შენ. ოთახი №17).
4) განათლების (ალმასკ. შენ. ოთახი №32).
5) სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის (ალმასკ. შენ. №28).
6) სამხედრო (ალმასკომის დარბაზი).

**ყველა სექციებისთვის**

**დღის წესრიგი:**

ინფორმაციული მოხსენება ტფილისის საბჭოს და მისი ორგანოების 1925 წ. პირველ ნახევრის მოქმედების შესახებ.

თავის სექციების მიხედვით ყველა საბჭოს წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

სექციების წევრებს დაურიგდებათ ანგარიში.

ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის ხელმძღვანელი

არ. რუხაძე.

# მეორე საკავშირო ასეულის ერთი წლის თავი.

## მხურვალე სალამი მეორე საკავშირო ასეულის წითელ მებრძოლებს.

წითელ საკავშიროელო! მხნედ იყავ საბჭოთა ქვეყნის სადარაჯოზე!

## მტკიცედ გეჭიროს წითელი დროშა, რომელსაც შენ გაზარებს დღეს შენი ძმა მუშა!

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მე-2 ქართულ მსროლელ ტერიტორ. დივიზიის პოლიტიკურ განყოფილებისადმი.

22 აგვისტოს მე 2 ქართულ დივიზიის ცალკე საკავშირო ასეული დღესასწაულობს თავის არსებობის ერთი წლის თავს. ამ დღისთვის ქ. ქუთაისის თამბაქოს ქარხნის მუშები ღებულობენ ნაწილზე შეფობას და უძღვნიან მას წითელ დროშას.

ერთი წელიწადი შედარებით მცირე დროა ყოველივე იმ დიდ მუშაობის შესასრულებლად, რომლითაც ხასიათდება საკავშირო ნაწილის აღმშენებლობის საქმე. მიუხედავათ ყოველგვარ სიძნელისა, საკავშირო ასეულის მეთაურ-პოლიტ შემადგენლობის და წითელ არმიელების საამაყოთ უნდა აღინიშნოს, რომ მათ ღირსეულათ შეასრულეს მათზე დაკისრებული მძიმე მოვალეობანი და მუყაითი, ბეჯითი შრომით ქართულ ლაშქარს შემატეს სავსებით ჩამოყალიბებული ნაწილი.

ასეთი გამარჯვება შესაძლოა მხოლოდ მეთაურ-პოლიტ შემადგენლობის და წითელ არმიელების ურთიერთ შორის მტკიცე კავშირით!

ასეთი გამარჯვება შესაძლოა მათი რევოლიუციონური შეგნებით თავისი მაღალი ამოცანებისა და მტკიცე რევოლიუციონური დისციპლინით.

საკავშირო ასეულს დღეიდან ემატება კიდევ ერთი მზრუნველი—ქ. ქუთაისის თამბაქოს ქარხნის მუშების სახით. მუშები დღეს უძღვნიან მას წითელ დროშას.

აღვნიშნავ რა ცალკე საკავშირო ასეულის მიღწევებს, რომლებიც ღირსეულს ხდიან მას ატაროს წითელი დროშა, გამოვთქვამ სრულ რწმენას, რომ ნაწილის შემადგენლობა სავსებით გაამართლებს იმ იმედებს, რომლებსაც მასზე ამყარებს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

ვაშა და გამარჯვება ცალკე საკავშირო ასეულს!

მე-2 ქართულ დივიზიის პოლიტგანის უფროსი

მ. მარკაროვი.

## ჩვენი მუშური სალამი საკავშირო ასეულს.

22 აგვისტოს სრულდება ერთი წლის თავი მეორე საკავშირო ასეულის დაარსებიდან. ამ ერთი წლის თავს ვზეიმობთ მათთან ერთად ქუთაისის 1-ლ სახელმწიფო „26 კომუნართა" სახელობის ქარხნის მუშები.

ერთი წლის წინეთ ჩვენ ქარხნის მუშებს გვქონდა თქვენთან საერთო კრება წითელ არმიელთა და ქარხნის მუშათა დაკავშირებისათვის, სადაც მუშებმა და წითელ არმიელებმა გულდასმით მოუსმინეს ურთიერთ მისალმებებს. აქ გამოითქვა სურვილი, რომ მომავალში კვლავ გვქონებოდა ასეთი საერთო კრება და შეხვედრა, სადაც გაგვეშუქებიოს ჩვენ ჩვენი მოვალეობის პირნათლად შესრულება და წლის თავი გვეზეიმოს.

ეს სურვილი დღეს შეგვისრულდა, და ნიშნად წასული წლის საერთო კრებაზე გამოთქმულ სურვილების განხორციელებისა და მომავალში უფრო მჭიდრო კავშირის განმტკიცებისათვის ქუთაისის 1-ლ



მე-2 საკავშ. ასეულის სამხკომი ამხ. პ. ჩხიკვიშვილი



მე-2 საკავშირო ასეულის მეთაური ამხ. პ. პაზუშკო.



სახელმწიფო „26 კომუნართა" სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშების დავალებით ადგკომი გასაჩუქრებთ 2-ე საკავშირო ასეულს წითელი დროშით და გისურვებთ მხნედ გეჭიროთ ის ხელში მუშათა კლასის და მშრომელთა გლეხობის სადარაჯოზე.

ჩვენ აღნიშნული ქარხნის მუშები თქვენთან ერთად მუდამ მზათ ვართ საჭირო დროს ამოგიდგეთ გვერდით და ვიბრძოლოთ ჩვენი საერთო მტრების წინააღმდეგ მშრომელთა ხალხის საბოლოო გამარჯვებისა და სოციალიზმის დამკვიდრებისათვის.

გაუმარჯოს მუშათა და წითელ არმიელთა მტკიცე შეკავშირებას.

გაუმარჯოს საკავშირო ასეულის დღესასწაულს-მის ერთი წლის თავს.

თამ. ქარხ. ადგკომი.

## მეორე საკავშიროასეულისარსებობის ერთი წლის ისტორია.

დღეს, 22 აგვისტოს შესრულდა ერთი წელი მეორე ქ. მ. დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის ჩამოყალიბების დღიდან.

ბრძანების თანახმად მეორე საკავშირო ასეულის შექმნას შეუდგენ წასული წლის 30 მაისიდან. აღნიშნული ასეულისათვის უფროსთა შემადგენლობა გამოყოფილ იქმნა პირველი დივიზიის საკავშირო ასეულიდან. ამასთანავე ერთად ასეული ივსება 1902 წელში დაბადებულ ახალგაზრდობისაგან.

საკავშირო ასეულის ჩამოყალიბების პირველ წელშივე, ის გადის საბანაკოთ პირველ საკავშირო ასეულთან ერთად. საბანაკო პერიოდის დამთავრების შემდეგ, აღნიშნული საკავშირო ასეული ბრუნდება თავის საზამთრო ყაზარმებში და იწყებს მუშაობის გაცხოველებას. ამ ხანებში ასეული ატარებს ცვალებადელთა მიწერას რამოდენიმე მაზრაში. ამასთანავე ერთად ის ემზადება მწვევამდელებთან მეცადინეობის დასაწყებად. მართლაც მის მიერ დაწყებულ იქნა მწვევამდელთა მზადება ა. წ. გაზაფხულზე და დამთავრდა მაისის 15 რიცხვებში. ჩატარებულმა გამოცდებმა დაამტკიცა, რომ მწვევამდელებთან გატარებული, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური მეცადინეობას გამოუღია სათანადო ნაყოფი.

ამის შემდეგ ასეული სათანადოთ ემზადება ცვალებადელთა მისაღებად, რისთვისაც ის კარგათ ამზადებს ძირედი შემადგენლობის წითელ არმიელებს. ამ ერთი წლის განმავლობაში ასეულში სათანადო სიმაღლეზე დადგა პარტ და კომკავშირის მუშაობაც.

დღეს მეორე საკავშირო ასეული უკვე ჩამოყალიბებულია საფუძვლიანად და მისი მთელი შემადგენლობის ენერგიული მუშაობით ის ჩქარი ნაბიჯით მიიწევს წინ და დღითი დღე მტკიცდება.

სერმონია.

## ჩვენი დღესასწაული.

მიმდინარე წლის 22 აგვისტოს სრულდება ერთი წელი, ას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა ტერ-სისტემის სპეციალური დარგის საკავშირო ასეულს. ჩვენს საკავშირო ასეულს დღეს შეუძლია იამაყოს ამ მცირე ძალებით.

ხსენებული საკავშირო ასეული გაზაფხულის დამლევამდე ამთავრებს მწვევამდელთა მზადებას და შემდეგ კი ის იწყებს ცვალებადელთა შეკრებას, და მათთან ენერგიულ მუშაობას. დღეს ჩვენ, ცვალებადერე დროის განმავლობაში გატარებული მუშაობით.

პირველ ხანებში ის იყო ძლიერ მცირე რიცხოვანი და ამასთანავე ერთად ძლიერ ნორჩი, მაგრამ შემდეგში თანდათანობით ივსება ის საუკეთესო ლები საკავშირო ასეულის ერთი წლის თავზე, უსურვებთ ჩვენი ასეულის ხელმძღვანელებს დღეგრძელობას და ენერგიულ მუშაობას ჩვენდა საკეთილდღეოთ.

ცვალებადელი ვ. კალანდაძე.

## ემზადე მანევრებისათვის.

### მოუფრთხილდი თავის ჯანმრთელობას.

ლაშქრული საბრძოლო ცხოვრება ვერ ითმენს მოდუნებულობასა და ავადობას, ვინაიდან ავადმყოფი კაცი ზედმეტი ბარგია ნაწილისათვის. ეს გასაგებიცაა. ავადმყოფს ხომ არ შეუძლია სადარაჯოდ წასვლა, სხვის დაუხმარებლად მოძრაობა, მით უმეტეს მწყობრში. არავითარი დავალების მიცემა არ შეიძლება ავადმყოფზე ისე რომ დარწმუნებული იყო მის ნამდვილად ასრულებაში.

ხოლო რადგან ასეა, რადგანაც ავადმყოფი ზედმეტი ბარგია და მას ჩვეულებრივად აგზავნიან ქსენონსა და სხვა სანიტარულ დაწესებულებებში, ამიტომ თვითეული მეომარი უნდა უფრთხილდებოდეს ყოველივე იმას, რაც იწვევს დავადებას.

რას შეუძლია გამოიწვიოს ლაშქრობის დროს ავადმყოფობა? თავი და თავი პირობა ლაშქრობის დროს—ესაა ფეხების მოფრთხილება, რომ არ მოიწვა. ხშირია შემთხვევა, როცა წითელ არმიელი ტაქტიკური მეცადინეობის დროს ერთ დღეს მოიწვავს ფეხს და მეორე დღეს ველარ მონაწილეობს მეცადინეობაში. ამით მას ზიანი მოაქვს თავის ნაწილისვინ, ამცირებს მის რაცხვითი შემადგენლობას და აგრეთვე თავის თავსაც ავნებს, ვინაიდან უშვებს მთელი კვირის მეცადინეობას და მიტომაც ცუდი მომზადებული რჩება.

საჭიროა გაუფრთხილდე ფეხებს და წესიერად დაიხვიო ზედ ფეხსახვევი.

მეორე მთავარი პირობა, რომ ავადმყოფობა თავიდან აიშოროთ შემდეგია: არ უნდა სვა მღვრიე, დამდგარი წყალი უნდა გქონდეს თუნუქში ანადუღი წყლის მარაგი; უკიდურეს შემთხვევაში კი უნდა სვა წმინდა მოძრავი წყალი, მაგრამ ის არ უნდა იყოს ცივი; ცივი წყლის სმა განსაკუთრებით მავნებელია როცა გახურებული და ოფლიანი ხარ.

მესამე პირობა: არ უნდა სჭამო ყოველი ხილი, განსაკუთრებით კი მკუხე და ბევრი, რაც კუჭისთვის მეტი ბარგი იქნება.

რასაკვირველია ბევრია კიდევ მიზეზი, რომლებიც იწვევენ ავადმყოფობას, მაგრამ ზემო ჩამოთვლილები ზოგადი უფრო გავრცელებული და ხშირი შემთხვევაა.

ავადმყოფობის ყოველ შემთხვევაში დაუყონებლივ უნდა მიმართო თავის ექიმს, ავადმყოფობის გართულების თავიდან ასაცილებლად.

ი. ბარ.

## საკლუბო მუშაობა ტერ-შეკრების დროს.

(დასასრული).

ლენკუთხის კედლები უნდა იყოს მორთული ლოზუნგებით, პლაკატებით დიაგრამებით, სქემებით და სტატისტიკურ ცნობებით სამხედრო და სასოფლო-მეურნეობის დარგიდან. აგრეთვე ლენკუთხეში თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკიდული ყველა საჭირო დეკრეტები და მთავრობის განკარგულებანი, რომლებიც ეხებიან გლეხების და წითელ არმიელების ცხოვრებას. დიდი ადგილი დაეთმოს საცნობო მუშაობას, რისთვისაც ყოველ დღიურად ლენკუთხეში უნდა სწარმოებდეს მორიგეობა საცნობო მაგიდებთან ან ყუთებთან, რათა თავის დროზე იქნას გაცემული სათანადო პასუხი შეკითხვაზე. ასეულის კედლის გაზეთს მუშაობაში უნდა დაეთმოს საპატიო ადგილი. გაზეთი უნდა ეხმარებოდეს ზემოთაღნიშნულ მიზნებს.

მასიურ მუშაობაში უნდა დაიდგას ისეთი წარმოდგენები, ინსცენიროვკები, ცოცხალი გაზეთი, რომლებიც გაუღვიძებენ ტერ-არმიელებს საზოგადოებრივი მუშაობის ხალისს და აამაღლებენ წითელ-არმიელის სახელს. მაგალითათ, უნდა მოეწყოს ისეთი წარმოდგენები, რომლებიც დაასურათებენ სახლში გაშვებულ წითელ-არმიელის ან ტერ-არმიელის მოღვაწეობას სოფლათ, ანდა ისეთი ინსცენიროვკები, რომლებიც უჩვენებენ, რომ სახლში გაშვებული წითელი-არმიელი თავის ცოდნით და მუშაობით გახდა სოფლის სული და გული.

აგრეთვე კარგია იმართებოდეს გასამართლებები ცუდ ტერ-არმიელისა, „ლენინის საღამოები" და სხვა.

რაც შეეხება საწრეო მუშაობას ტერ-შეკრების პერიოდში, მას უნდა მიექცეს ნაკლები ყურადღება, ვინაიდან ჩაბმა საწრეო მუშაობაში ცვალებად შემადგენლობისა, ერთი თვის განმავლობაში მიზან შეუწონელია. რა თქმა უნდა, თუ თვითონ ტერ-არმიელები მოისურვებენ წრეში მუშაობას, ჩვენ მათ ხელს არ შეუშლით.

სამაგიეროთ, დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ძველ წითელ-არმიელებისაგან შემდგარ წრეების მუშაობას, ვინაიდან მათი მუშაობა საფუძვლათ ედება კლუბის მთელ მასიურ მუშაობას.

ტ. წვენიევი.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## ლენინის კუთხეები.

მეექვსე ტერ-ლეგიონი.

ჩვენს ტერ-ლეგიონში, წერტებზე მდგარ ასეულების ათასეულებში თავმოყრის შემდეგ, ადგილის უქონლობის გამო ყოვლად შეუძლებელი შეიქნა თვითეულ ასეულში ცალ-ცალკე ლენინის კუთხეების დაარსება, რისთვისაც ასეთები ჩამოყალიბებულ იქნა ათასეულების მაშტაბით.

ლეგიონში არსებობს ლენინის კუთხეები პირველ და მეორე ათასეულში და ტყვიამფრქვევ ასეულებში.

თავდაპირველად ლენინის კუთხეების ტეხნიკური მოწყობის საქმე, როგორც ჩვენი გაზეთში ამას წინად ერთ-ერთი სამხკორი სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ შემდეგ ყოველივე ნაკლი ამ მხრივ გამოსწორებულ იქნა და დღეს ჩვენ გვაქვს მშვენიერად მოწყობილი ლენინის კუთხეები თავისი მთავარი განყოფილებებით როგორიც არის: 1. ჩვენი პარტია, 2. წითელი არმია, 3. მეცნიერება ადამიანის სამსახურში და 4. ჩვენი ცხოვრება,

თვითეულ განყოფილებაში საკმაოდ მოიპოება რევოლიუციის ბელადების სურათები ბიოგრაფიებით, წერილები სხვა და სხვა ნაკლულევანებებზე, იუმორი და ჩვენი ფოსტა.

განსაკუთრებით შესანიშნავია იუმორი თავისი კარიკატურებით და ქვეშ წარწერილი ლექსებით. მაგ. დახატულია ერთ-ერთი უფშემადგენლობის წევრი, რომელიც ახლო ცხოვრობს ყაზარმასთან და ხშირად ქუჩაში გამოაქვს ნარდი და იქ თამაშობს. ქვევით მიდის წარწერა შემდეგი ლექსით: „რა კარგია ქუჩაში, ძმებო, ნარდის თამაში; ვინ იქნება ნეტავი გამამტყუნოს ამაში?“ ან კიდევ მუში, რომელიც ზღვაში ყრის ძველ გენერალს და ბურჟუას. ქვევით წარწერა: „ნიკოლოზის ძმა-ბიჭები ყველა ზღვაში გადავყარე, მთელ მსოფლიოს მეექვსედზე კომუნიზმი დავამყარე

გაზეთში მოთავსებული წერილების უმრავლესობა დაწერილია თვით ცვალებადელთა მიერ რაც სასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

სამხკორი ინი.

## სამხკორთა წრის მუშაობა მოისუსტებს.

მე 5 ლეგიონი.

მეხუთე ლეგიონში კარგა ხანია, რაც დაარსდა სამხკორთა კურსები, მაგრამ მისი მუშაობა ძალიან მოიკოჭლებს. არ იქნა და არა, ვერ გამოაცოცხლეს კურსების მუშაობა. ის ერთ წერტილზეა გაყინული და მის ამ ადგილიდან დაძვრას არ მიეცა საშველი.

საჭიროა ამას მიაქციოს ყურადღება კლუბის უფროსმა და სამხკორთა კურსების მუშაობა გამოაცოცხლოს.

სამხკორი ა—ლი.

## ბიბლიოთეკის მუშაკთა კურსები დაარსება.

მე-5 ლეგიონი.

მეხუთე ლეგიონში 20 აგვისტოს დაარსდა კლუბის და ბიბლიოთეკის მუშაკთა მოსამზადებელი მოკლე ვადიანი კურსები. კურსებზე იგზავნებიან ყველა მსურველი აქტივისტი ამხანაგები. მეცადინეობა კურსებზე გასტანს ოც ეკენისთვემდე. იმედს გამოვსთქვამთ რომ კურსებზე გაგზავნილი ამხანაგები პირნათლად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და იქიდან დაბრუნდებიან ამ საქმის კარგად მცოდნენი.

სამხკორი ახალციხელი.

## პური ცუდი გვექლევა.

2-რე არტლეგიონი.

ამ ცოტა ხნის განმავლობაში ვღებულობდით პურს და კარგი იყო. ეხლა კი ისეთი გლახა და დაუმზადებელია რომ რაც მოშივებული იყოთ მაინც არ მოგინდებათ საჭმელად.

ასეთი პური ბოლოს და ბოლოს გამოიწვევს წითელ არმიელებში სხვა და სხვა ავადმყოფობას.

იმედია მიაქცევთ ყურადღებას და გააფრთხილებთ ჩვენს პურის მცხობლებს, რომ გააუმჯობესონ პური კარგი და სუფთა გამოცხობით.

სამხკორი ვ. ერქომაიშვილი.

## ჩვენი საქმიანობა.

მე-3 ათასეული.

ცვალებად შემადგენლობის ინცროსი მეთაურების მოსვლა დაიწყო მე-6 ლეგიონის მესამე ათასეულში 15 აგვისტოდან. მათ პატივსაცემად ათასეულის დრამატიული წრის მიერ იქნა დადგმული წარმოდგენა. წარმოდგენას დაესწრო როგორც ათასეულის შემადგენლობა, აგრეთვე ახლო მცხოვრებლები.

წარმოდგენა კარგად ჩატარდა. მოთამაშეებმა კარგად იცოდენ როლები. 16 აგვისტოს, ლოაქ №-ში ჩატარდა ცვალებადელების კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო ადგილობრივ მუშების წარმომადგენლები. კონფერენცია თავის შინაარსით მეტად სუსტი გამოდგა, რაიც უნდა მიეწეროს ადგილობრივ სათავეში მდგომ ამხანაგების გულგრილად საქმის მოკიდებას.

რაც შეეხება სოფლებში და რაიონებში საუბრების ჩატარებას ეს სუყველგან კარგად მიმდინარეობს.

ძალიან კარგ ჩთაბეჭდილებას სტოვებს, მსმენელებზე საუბრები. ჩვენს მისვლას დიდის სიხარულით ხვდებიან ყველა სოფლებში, განსაკუთრებით იმ სოფლებში, სადაც ღარიბ გლეხებს დაუმუშავეთ ყანები. ყველანი მადლობას უგზავნიან მთავრობას ასეთი წესის შემოღებისთვის.

მხოლოდ აქ მინდა აღვნიშნო ის უმთავრესი შეფერხებები, რომელიც ჩვენ წინ გვეღობება პროვინციებში მგზავრობის დროს. ეს არის გადასაზიდი საშუალებების უქონლობა, ადგილობრივ ხელისუფლებას თუ მივმართავთ ასეთ პასუხს ვღებულობთ—ტრანსპორტი თქვენ თქვენივე უნდა გყავდეს, თუ არ გყავს ჩემი საქმე არ არისო და სხვა.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერარს და გაგვიწიონ დახმარება ამაში.

დ. ჰანკვეტაძე.

## ჩვენი შემოქმედება.

მეექვსე ტერ-ლეგიონი.

ამ დღეებში გამოვიდა ჩვენი ლეგიონის ბიურო-კოლექტივის კედლის გაზეთის „ხმა მეექვსე ტერლეგიონერისა“-ს მეორე ნომერი, რომელიც, როგორც გარეგნული შეხედულობით, ისე მასალების თავის ადგილზე დალაგებით და შინაარსით დიდათ განსხვავდება დღემდი ლეგიონში გამოცემული კედლის გაზეთებისაგან.

სათაურში დახატულია ორი წითელი არმიელი: ერთ მათგანს ცალ ხელში უპყრია წითელი დროშა, რომელზედაც დაწერილია თვით გაზეთის სახელწოდება,—მეორე ხელში უჭირავს თოფი და გაიყურება საზღვრებისაკენ: მეორე წითელი არმიელი ზის ქარხნის წინ და კითხულობს გაზეთს.

შემდეგ მიდის დიდი ასოებით ლოზუნგი: „ცვალებადელნო, ისწრაფეთ განვითარებისაკენ“.

გაზეთში არის შემდეგი მთავარი განყოფილებები:

1) მოწინავე.

2) ჩვენი ცხოვრება, სადაც გაშუქებულია ასეულების ცხოვრება და მუშაობა.

3) პარტიული ცხოვრება.

4) სამხედრო საქმე.

5) ჩვენი ნაკლულევანებანი, სადაც თვით ცვალებადელთა მიერ მოთავსებულია კატები? ლოზუნგები და დიაგრამები.

ლენ-კუთხეებს ჰყავს დანიშნული თავისი გამგეები, რომლებიც ბირთვების საშუალებით აწყობენ სისტემატიურად გაზეთების ხმა-მაღალ კითხვებს და საუბრებს სხვა და სხვა თემებზე.

ხშირად ტარდება ლენ-კუთხეებში ლექციები ექიმების მიერ სხვა და სხვა გადამდებ ავადმყოფობაზე და საერთოდ ჰიგიენაზე. ზაფხულის პერიოდში, ლენკუთხეების ბირთვების მეცადინეობა გადატანილ იქნა ყაზარმების წინ ლამაზად გაშენებულ ლენინის მინდვრებში.

სამხკორი № 110.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა

## ქართულ სამხედრო პოლიტსკოლა ექსკურსიაზე.

13 აგვისტო. დილის ოთხი საათია. ისმის ადგომის ნიშანი. კურსანტები სწრაფ წამოდგენ თავიანთ საწოლებიდან. სრულ ხუთ საათზე ყველა მზად ვართ ექსკურსიაზე წასასვლელად. დღეს უნდა დავათვალიეროთ 18 ვერსის მანძილზე მდებარე ღირსშესანიშნავი ადგილები და ისტორიული მნიშვნელობის განძები: ძველი ტაძრები და ციხე-სიმაგრეების ნანგრევები. კურსანტების სიხარულს საზღვარი არ აქვს. ყველას უხარიან ამ ადგილების დათვალიერება. ექსკურსიას თან მოყვება ლექტორების მთელი შემადგენლობა.

გაუდექით გზას. საშინელი სიცხეა, განსაკუთრებით მისი სიმწვავე ვიგრძენით აღმართზე ასვლის დროს.

მაგრამ დაუღალავად ვისწრაფით წინ დანიშნულ ადგილისაკენ. კურსანტების სიმღერა ალვიძებს მიყრუებულ მიდამოს.

ავედით მთის მწვერვალზე. აქ ბევრია ქვის ლოდები. არის ქვის ჯვარი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს „ქვის დედოფალს“. და მას თვლიან წმიდა ქვად. ერთი ღვთის მორწმუნე გლეხმა ამ ჯვარის შესახებ გადმოგვცა შემდეგი:

—„ქვის დედოფალი“ დიდ დახმარებას გვიწევს. გამდგარ გვალვების დროს მას მივმართავთ ლოცვით და ის წვიმას მოიყვანს და სხ.

საბრალო სოფელი, ჯერ კიდევ ღვდლების მიერ მოჰორილ რელიგიურ ბურუსშია გახვეული. მას კიდევ სწამს ის, რაც არ არსებობს, რაც მათი გასაყვლეფათაა მოგონილი.

ამის შემდეგ კურსანტებმა გადასწყვიტეს ამ სოფლებში ანტი-რელიგიური კანპანიების ჩატარება.

შემდეგ შეუდექით ისტორიული ციხეების და ტაძრების ნანგრევების დათვალიერებას. განსაკუთრებით ციხის ნანგრევებმა განცვიფრებაში მოიყვანა კურსანტები.

უკვირდათ, თუ რა ძალამ შესძლო ამ ვებერთელა ქვების ატანა ამ მთის მწვერვალზე და მისი ერთმანეთზე დაშენება. ციხის ქვეშ გაკეთებულია ოთახები, სადაც ჩასვლა შეიძლება ხვრელების საშვალებით. ოთახში ძალიან სიბნელე იყო, მაგრამ კურსანტები მაინც ეძებდენ ეგებ რაიმე ისტორიული მნიშვნელობის საგანს შევხვდეთო. იმ დღეს მარტო ციხის დათვალიერება მოვასწარით. მეორე დღეს დილით ადრე შეუდექით ტაძრის ნანგრევების დათვალიერებას.

ექსკურსიამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კურსანტებზე. ხშირად ასეთი ექსკურსიები.

მდივალიანი.

## ალღუმზე უნდა შევამსოთ ჩვენი ცოდნა.

1-ლი ლეგიონი.

რამოდენიმე დღეა, რაც ჩვენს ლეგიონში ისმოდა ლაპარაკი, რომ ლეგიონი მალე გავა ალღუმზეო. ამ ამბავს ყველა წითელ არმიელები დიდის სიხარულით ხვდებოდენ. დადგა ეს სანატრელი დღეც. 13 აგვისტოს დილით მთელი ლეგიონის შემადგენლობა გავიდა ალღუმზე.

ალღუმს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ პრაქტიკულად ვიძენთ იმას, რაც თეორიულად გავიარეთ ზამთრის პერიოდში. აქ ჩვენ ვეცნობით ყოველივე ბრძოლის მეთოდებს, როგორიცაა, მაგალითად, წინ წაწევა, მტერზე იერიშის მიტანა, უკანდახევა, მოგერიება, თავდაცვა და სხ.

ყოველი წითელი არმიელი ვალდებულია გულდასმით ადევნოს თვალყური და შეიძინოს ყოველივე ის, რასაც გავდივართ ალღუმის დროს, რომ სამხედრო ცოდნით აღჭურვილი მუდამ მზად ვიყოთ მტრის დასამარცხებლად.

სამხკორი დურბინდი.

## რატომ ხდება ასე.

პირველი ლეგიონი.

ჩვენი ნაწილის მზვერავ მწყობრის წითელ-არმიელებმა არ იციან ცხენებზე ჯდომა, რადგან მათ არ აძლევენ ამის საშუალებას, და არც ასწავლიან. ამ ნაწილის წითელ-არმიელებმა კი აუცილებლად უნდა იცოდენ ცხენებზე ჯდომა, მით უმეტეს ეხლა, როცა ჩვენ ხშირად გვიხდება მანევრებზე წასვლა.

დროა მიაქციონ ამას სათანადო ყურადღება და გამოასწორონ ეს ნაკლი.

სამხკორი ჯიხელი.

## სიმართლის აღსადგენათ.

(მე-6 ლეგ.)

გაზ. „წითელ-არმიელი“-ს № 186-ში მოთავსებულია წერილი ამხ. ელის მიერ მე-6 ლეგიონის ანტი—სანიტარულ მდგომარეობაზე და ფერშლების უდიერ მოპყრობაზე წითელ არმიელებისადმი. ამხ. ელი ამას სწერს მხოლოდ და არ აღნიშნავს იმას, თუ რაში გამოიხატება ლეგიონის ანტი-სანიტარული მდგომარეობა, რომ ამისთვის მიგვექცია ყურადღება და გამოგვესწორებია ეს ნაკლი. აგრეთვე ვსთხოვთ ამხანაგს დაგვისახელოს ის ექიმის თანაშემწეები, რომლებიც უდიერად ექცევიან წითელ-არმიელებს.

მოველით პასუხს.

უფ. ექთანაშემწე ჯაველიძე.

## გამოცოცხლდა მუშაობა.

ამ ჟამად მეხუთე ლეგიონში ძალიან გამოცოცხლებულია მუშაობა. ყოველ დღიურათ სწარმოებს სროლაში ვარჯიშობა. ცვალებად შემადგენლობისათვის სროლას კარგი შედეგები მოაქვს. ლეგიონში დაარსებული არის სხვა და სხვა წრეები: ლენინიზმის შესასწავლი, თვით განათლების, დრამატიული წრე, ანტირელიგიური, სამხკორთა სპორტიული, აგრონომიული და სხვა.

მასთან დაარსებულია პირველ და მეორე საფეხურის პარტ-სკოლა, რომლებსაც ხელ მძღვანელობენ სათანადოთ მომზადებული ამხანაგები ყოველ კვირეულად ეწყობა ექსკურსიები.

სამხკორი ახალციხელი.

# პარტიული ცხოვრება.

## ლენ-ახკომკავშირელთა უჯრედის კრება.

(მე-6 ლეგ. მე-3-ე ასეული).

ხსენებულ ლეგიონის მე-3 ასეულის № 4 კომუჯრედთან დაარსებულია პარტიის დამხმარე ახ-კომკავშირელთა უჯრედი, რომელსაც გამოყოფილი ჰყავს ორგანიზატორი. უჯრედის კრებები ხდება სისტემატიურად კვირაში ერთხელ სამშაბათობით, სადაც უმთავრესათ დღის წესრიგში ისმება საკითხები თვით ასეულის ცხოვრებიდან.

წარსულ სამშაბათს შესდგა ახ-კომკავშირის უჯრედის გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო წევრების უმრავლესობა. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი მთავარი საკითხები: 1) მომავალი საერთო ტერ-შეკრების მნიშვნელობის შესახებ და 2) ახ-კომკავშირის წევრებს შორის დავალებების განაწილება. პირველი საკითხის შესახებ გაკეთებული იქნა მოხსენება უჯრედის ორგანიზატორ ამხ. გოგიას მიერ, რომელმაც აღნიშნა თუ როგორ უნდა იქნას ჩატარებული მომავალი საერთო ტერ-შეკრება და როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ მისი ბრწყინვალეთ ჩატარებაში ნაწილის ახ-კომკავშირის წევრებმა. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ახ-კომკავშირის ყველა წევრები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ მის ღირსეულად ჩატარების საქმეში.

მეორე საკითხში განაწილებული იქნა ახ-კომკავშირის წევრებ შორის დავალებები: ზოგი მიმაგრებულ იქნა ლენინის კუთხეზე სამეცადინოთ, ზოგს დაევალა სხვა და სხვა ბირთვების ხელმძღვანელობა და სხვა.

პარტკორი: **დამსწრე.**

## საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში.

— **მონოპოლია სახელმწიფო გამომცემლობას.** დამტკიცებულ იქნა დადგენილების გეგმა სახელმწიფო გამომცემლობისთვის მონოპოლიური უფლების მინიჭების შესახებ.

— **სახკომსაბჭოს** დადგენილებით ლენინგრადის სამეცნიერო აკადემიის ორასი წლის იუბილეზე მონაწილეობის მისაღებათ იგზავნებიან: პროფ. პ. მელიქიშვილი, პროფ. ბერიტაშვილი, დოცენტი ჯანელიძე, პროფ. ნათიშვილი, პროფ. კეკელიძე, ფიზიკოსი ხუციშვილი და სხვა.

## ეკონომიური ცხოვრება.

**თამბაქოს დამზადება.**

ა.-კ სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა კახეთსა და აფხაზეთში დაამზადა 46.000 ფუთი თამბაქო საზღვარ გარეთ გასატანათ.

**აბრეშუმის ნაქსოვები.**

აბრეშუმის ნაქსოვ ქარხნის ნაწარმოებზე ბოლო ხანებში დაკლებული იქნა ფასები საგრძნობლათ.

**ჩაის მოსავალი.**

ჩაქვის სახელმწიფო მამულებში წელს ჩაის მოსავალი შარშანდელთან შედარებით კარგია.

**სიმინდის გაიაფება.**

ბათომში 10 რონოდა სიმიდის შემოტანის გამო სიმინდი გაიაფდა 2 მ. 50 კაპეიკიდან 1 მ. 75 კაპეიკამდე ფუთი.

## ამბები სოფლებიდან.

**სკოლის ასაშენებლათ.**

სოფ. ლინტურის თემალმასკომმა შუამდგომლობა აღძრა გორის სამაღმასკომის წინაშე უფასოთ ხე-ტყის მასალის გაცემის შესახებ, ადგილობრივ სკოლის ასაშენებლათ.

**სპირტის ქარხანა.**

ზუგდიდის ალმასკომმა გადასწყვიტა შეაკეთოს აბასტუმანის (სამეგრელოში) სპირტის ქარხანა.

**გზების შესაკეთებლათ.**

ზუგდიდის ალმასკომმა დაადგინა მომავალი წლის განმავლობაში მაზრის გზების შესაკეთებლათ გადასდოს 50 ათასი მანეთი.

**საქონლის ჭირი.**

თელავის მაზრაში წელს არა ჩვეულებრივად მძვინვარებს საქონლის ჭირი. ჭირი განსაკუთრებით გავრცელებულია ყვარელში, ახმეტაში ალვანში, შალაურში და ვაჩნაძიანში.

**წყალსადენის გაყვანა.**

გუჯარეთის სათემო ალმასკომმა (გორის მაზ.) დაადგინა საკუთარი ძალებით გაიყვანოს ადგილობრივ წყალსადენი. მუშაობას შეუდგებიან ახლო ხანში.

**კედლის გაზეთი სოფლათ.**

დაბა ჩხარში გამოდის გლეხებისათვის კედლის გაზეთი, რომელშიაც შუქდება ადგილობრივ გლეხების ყოფა-ცხოვრება და სამხედრო ტერიტორიალურ ნაწილების აღმშენებლობა.

## პასუხი შეკითხვებზე.

კ. შ-რიას, მაღრაძეს, ივანიაშვილს, გოლოშვილს, ი. ელენტს, ავთანდიშვილს, კევლიშვილს, ნარსიას, თქვენს შეკითხვებზე პასუხს ნახავთ ამ თვის ჩვენი გაზეთის წასულ ნომრებში.

# ახალი ამბები.

— **ლოზუნგები.** მორიგი 1-ლი ტერიტორიალური შეკრებისათვის, პოლიტგანყოფილებამ დაამზადა ლოზუნგები ყველა ენებზე, რომლებიც დაიგზავნებიან ადგილებზე.

— **შემოდგომაზე დოლი არ იქნება.** მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატმა დაადგინა შემოდგომაზე ტფილისში არ მოაწყოს დოლი.

— **სასოფლო - სამეურნეო** იარაღების შესაძენათ აფხაზეთის სას.-სამ. ბანკმა გადასდო 75.000 მანეთი.

— **უცხოელი მასწავლებლების** ჯგუფს საქართველოში მოელიან 29 აგვისტოს. მასწავლებელთა დელეგაცია ტფილისში დარჩება 2-3 დღე.

— **მომუშავე ტრ. რონოდების რიცხვი.** ამჟამად ტფილისში მუშაობს 111 ტრ. რონოდა, აქედან 103 სამგზავრო.

დუშეთის გლეხკომების გამოკვლევა უკვე დასრულდა სოც. უზრ. კომისარიატის მიერ წარგზავნილმა რწმუნებულმა. გამოკვლევამ გამოარკვია მთელ რიგ გლეხკომებში დიდი ბოროტმოქმედებანი.

— გლეხკომების საქმიანობის გამოსაკვლევად სოც. უზ. კომისარიატმა წარგზავნა აგრეთვე თავის წარმომადგენელი ოზურგეთის მაზრაში.

— **მეცხვარეობისათვის.** საქ. სას.-სამ. ბანკმა გადასწყვიტა მეცხვარეობის საჭიროებისათვის გასცეს მიზნობრივი სესხი 10 ათასი მანეთის რაოდენობით.

## ხელოვნება.

— **სამხედრო კონცერტი.** ამ დღეებში წითელი არმიისა და ფლოტის კლუბში უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელთათვის გაიმართება დიდი სამხედრო კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქალაქში მყოფი ყველა სამხედრო ორკესტრები—160 კაცი.

— **მუშა-მსახიობის იუბილე.** განზრახულია ხაშურში გადაუხადონ 25 წლის იუბილე მუშა-მსახიობს ნ. პირაძეს.

— **წითელი არმიისა და ფლოტის ბაღში,** დღეს კინოსურათი ქართული ცხოვრებიდან. ბაღში უკრავს სამხ. ორკესტრი.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**უველაზე პატარა ხალხი.**

დღემდე პატარა ტანის ადამიანების სამშობლოდ ითვლებოდა აფრიკა, მაგალითად ნილის (მდინარეა აფრიკაში) სათავეებში დიდი ხანია ცხოვრობდენ „კარლიკების“ (პატარა ადამიანები) ტომები—პილოტები, რომლებიც ითვლებოდენ ყველაზე დაბალ ხალხათ ქვეყანაზე.

ასეთივე ხალხი სცხოვრობს აგრეთვე კონგოს (ბელგიის კოლონია აფრიკაში) ოლქში, სახელდობრ-პიგმეები, რომლებიც გაცილებით პატარა ტანის არიან პილოტებზე.

ამ უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილ იქნა ამერიკის მთებში „კარლიკების“ ტომი, რომლებიც თავის ქალის ზომის მიხედვით უნდა ჩაითვალონ ყველაზე პატარა ხალხად (ტანადობის მხრივ) მთელს ქვეყანაზე.

ეს ტომი ცხოვრობს გვიანის (სამხ. ამერიკა) იმ ტყიან ადგილებში, რომლებიც ეკუთვნის ინგლისს.

ეს ტომი აღმოაჩინა ცნობილ ამერიკელ მოგზაურმა ჰერბერტ ლანგმა. მთელი წელიწადი ის ხეტიალობდა სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში და შეისწავლიდა სამხრეთ ამერიკის ინდოელ ტომებს. აქ მოულოდნელად ის წააწყდა „კარლიკების“ ტომს აკავას. ლანგემ მოახდინა მათი თავის ქალის გაზომვა და სიმაღლის საშუალო მაჩვენებლის გამოანგარიშების შემდეკ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს ტომი გაცილებით უფრო დაბალი ტანისაა, ვიდრე აფრიკის დაბალ ტანიანი ტომები.

**უდიდესი მატორიანი გემი.**

შოტლანდიაში (ინგლისი) ჩაუშვეს ზღვაში უდიდესი მატორიანი გემი ქვეყანაზე „აორანგი“, რომლის წყალტევა უდრის 17.500 ტონს, აქვს 13.500 ცხენის ძალა, სისწრაფე 18 კვანძი საათში და იტევს 1.000 მგზავრს.

„აორანგი“-ს დიდი ზომის მატორებს და მათი მუშაობის ძალას უნდა გამოეწვია გემზე მყოფთათვის აუტანელი ნჯღრევა, მაგრამ მიუხედავად ამისა განსაკუთრებულ მოწყობილობათა გამო გემზე ნჯღრევას არა აქვს ადგილი. გემი მოძრაობს თითქმის უხმაუროდ და მშვიდათ.

ეს ახალი მატორიანი ბუმბერაზი დანიშნულია ჩრდ. ამერიკისა და ავსტრალიის შუა მოგზაურობისთვის, ნავთსადგურ სიდნეიდან ვანკუვერამდი და უკანვე.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

პოლიტ-განის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება ამხ. გრიგორი დავიდოვს პარტიის კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ.

თუ ვისმეს აქვს საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ 26 აგვისტომდე პოლიტ-განის კომუჯრედში.

**კომუჯრედის ბიურო.**

---

ქ. სამ. პოლიტ-სკოლის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ **შემდეგ ა. ლ. ქ. კავშირის წევრებს:** 1. ცქიფურიშვილი მიხეილ, 2. რუსაძე თედორე, და კ. პარ. წევრად მიღების შესახებ კ. პ. კანდიდატებს: 1. არუთინოვი სიმონი, 2. დიასამიძე დავითი, 3 მეზვრიშვილი პეტრე. ქ. სამ. პოლიტ-სკოლის კომ-უჯრედი გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები ზემო აღნიშნულ ამხ. ამხ. შესახებ თუ ვინმეს გაქვთ რაიმე საწინააღმდეგო.

კომ-უჯრედის პ. მ. მდ. ვლ. **კიკალიშვილი.**

---

მე-6 ტერლეგიონის მე-10 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ ოცისთავის თანაშემწეს, ოზურგეთის მაზრის მცხოვრებს, ამხ. გიორგი ევტიხის ძე ფოცხიშვილს. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, ვსთხოვთ გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში მე-6 ტერლეგიონის მე-3 ათასეულის

მე-10 **კომუჯრედში.**

---

მე-6 ლეგიონის მე-9 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ, მიღების შესახებ მე-7-ასეულის მამასახლის ამხ. გრიგორი ივანესძე რობაქიძეს, მცხოვრები სენაკის მაზრის, სოფელ შხეფის. თუ ვინმეს აქვს საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-6-ტერლეგიონის მე-3-ე ათასეულის მე-9-ე კომუჯრედში.

## კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მომარაგების უფროსის სამმართველო

(ტფილისი, არსენ ჯორჯიაშვილის ქ. № 10) აცხადებს, რომ ა. წ. 3 სექტემბერს დღის 10 საათზე მოხდება

## საჯარო ვაჭრობა,

30.000 ფუთი კარტოფილისა და 10 ათასი ფუთი მჟავე კომბოსტოს მიწოდებაზე ტფილისში.

ჩაბარება იწარმოებს ოქტომბრიდან ივლისამდე ამ თვეების ჩათვლით ყოველ თვიურად თანასწორი ნაწილებით კონტრაგენტის საწყობიდან სამხედრო ნაწილების მოთხოვნილებების მიხედვით.

ორგანიზაციები, დაწესებულებები და კერძო პირები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, მოწვეული არიან გამოსაცხადებლად ან თავის წარმომადგენლების სახით ან და შემოიტანონ თავიანთი განცხადება არა უგვიანეს საჯარო ვაჭრობის დღის 10 საათისა, საღერბო გადასახადის გადახდით, ან დახურულ კონვერტებში წარწერით: „3 სექტემბრის კარტოფილისა და მჟავე კომბოსტოს საჯარო ვაჭრობას“, ყველა წესების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო იჯარის და მიწოდების საჯარო ვაჭრობის წესების ინსტრუქციის მე-5 მუხლში.

საჯარო ვაჭრობისთვის მიცემულ განცხადებებში აღნიშნულ უნდა იქნან მიწოდების პირობები, ფუთი კარტოფილისა და მჟავე კომბოსტოს ფასი და განცხადების მიმცემის მისამართი.

განცხადებებს, როგორც წერილობითს, ისე ზეპირს თვით საჯარო ვაჭრობაზე უნდა დაერთოს საბუთები, საჯარო ვაჭრობაზე მონაწილის პიროვნების შემმოწმებელი, ქვითარი სახელმწიფო ბანკის ერთ-ერთ სალაროში კ. წ. დ. ა. მომარაგების უფროსის სახელზე 10 პროც. შეტანის შესახებ იმ ღირებულებიდან, რომელიც წარმოდგენილი აქვს მოიჯარადრეს ან და წარმოადგინოს ზემოაღნიშნულ თანხაზე საბუთები ამა თუ იმ მოძრავ ქონების უდავო საკუთრებასა და ხელწერილი ხელშეკრულებაზე აუცილებლად ხელის მოწერის შესახებ იმ შემთხვევაში თუ მიწოდება დარჩება განცხადების შემტანს და იქნება დამტკიცებული.

სახელმწიფო წარმოებები და კოოპერატიული ორგანიზაციები რესპუბლიკის ან ოლქის მაშტაბით თავისუფალი არიან გირაოს შეტანისაგან.

იჯარის კონდიციებთან და პირობებთან გაცნობა შეიძლება კ. წ. დ. ა. მომარაგების უფროსის სამმართველოს ხასურსათო განყოფილებაში 13-დან 14 ნახ. საათამდე ყოველდღიურად ა. წ. 24 აგვისტოდან.

კ. წ. დ. ა. მომარაგების უფროსი

**ზაიცევი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ფ. ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.